

## ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები გამოცხადდა

გამოცხადდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები. შეფასების კომისიამ, მიღებული 92-დან განაცხადიდან კონკურსის ნახევარფინანსისთვის შეარჩია ოცდაათი პროექტი. ნახევარფინანსისტების შერჩევა მოხდა ექსპერტთა დამოუკიდებელი კომისიის მიერ ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

კონკურსის მეორე ეტაპზე გადავიდნენ გუნდები თბილისის, ახალციხის, ქუთაისის, ფოთის, ბორჯომის, თელავის, სენაკის, სოფელ დერცელისა და პატარძელის სკოლებიდან.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის მეორე ეტაპი, ინტერვიუ ნახევარფინანსისტ გუნდებთან გაიმართება 2019 წლის 29-30 იანვარს. გუნდები კონკურსის კომისიის წინაშე გააკეთებენ პროექტის პრეზენტაციას. შედეგად, ექსპერტთა კომისია შეარჩევს ფინანსისტ გუნდებს. ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში პირველ ადგილზე გასული გუნდი გაემგზავრება აშშ-ში და მონაწილეობას მიიღებს NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში, აშშ-ში. მეორე და მესამე ადგილზე გასული, სხვა ფინანსისტ გუნდებთან ერთად დაჯილდოვდებიან პრიზებით.

*ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი ემსახურება ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისებას საბუნებისმეტყველომეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რაც გაზრდის მათ მოტივაციას აღნიშნულ დისციპლინებში და ხელს შეუწყობს ქვეყანაში, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ახალ მიღწევებს. პროექტის ერთ-ერთი მიზანია კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების დაკავშირება წარმატებულმეცნიერებთან და კერძო სექტორთან, რაც დაეხმარება მათ სამომავლოდ პარტნიორობის დამყარებაში, გამოცდილებისა და ცოდნის მიღებაში.*

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის მეორე ეტაპზე გასული პროექტების სია:

1. ტრიბოლექტრული ფარდა | 199-ე საჯარო სკოლა, IT აკადემია, კლასიკური გიმნაზია | თბილისი
2. თეთრი დათვი | აია-ჯესს | თბილისი
3. უჩინარი ძალა | მე-2 საჯარო სკოლა | ახალციხე
4. Hand-held Schlierenoscope-მობილური დეტექტორი და რეტრორეფლექტორული მოზაიკური ეკრანი ჰაერში არსებული არაერთგვაროვნებების აღმოსაჩენად | აია-ჯესს | თბილისი
5. ზევსი | პირველი ექსპერიმენტული სკოლა, 199-ე საჯარო სკოლა | თბილისი
6. ცეცხლოვანი ბორბალი | სოფ. დერცელის საჯარო სკოლა | სოფელი დერცელი
7. სიმსივნის ლოკალური ლიკვიდაცია ნანორობოტის საშუალებით | 199-ე საჯარო სკოლა, აია-ჯესს | თბილისი
8. აგრიკულტურული მოზაიკური ადიტიური შუქფილტრი აპკი შერჩევითი ფოტოსინთეზისთვის | აია-ჯესს | თბილისი
9. უნივერსალური ავზი | 199-ე საჯარო სკოლა | თბილისი
10. Infrared Camera Drone | 199-ე საჯარო სკოლა | თბილისი
11. მძიმე მეტალებით წყლის დაბინძურების სენსორი | ლომისი | თბილისი
12. ესკულაპე | აია-ჯესს, წმ. ალექსი შუმანიას სკოლა-გიმნაზია | თბილისი, სენაკი
13. მობილური ელექტროგასამართი სადგურების შექმნის კონცეპტუალური პროექტი | აია-ჯესს, საპატრიარქოს წმ.ილია მართლის სკოლა | თბილისი

14. მძღოლის რეაქციის შეფასებისა და ტრენინგის მოწყობილობა | 174-ე, 157-ე, 35-ე, 186-ე და 147-ე საჯარო სკოლები | თბილისი
15. უსინათლოს გარემოსთან მადაპტირებელი სისტემა | 22-ე და 25-ე საჯარო სკოლები | ქუთაისი
16. კურკუმინის ამინომჟებთან ურთიერთქმედების პროდუქტები | სკოლა შავნაბადა, 87-ე საჯარო სკოლა | თბილისი
17. თერმო | მე-6 საჯარო სკოლა | ფოთი
18. მაგიური ქილა | აია-ჯესს | თბილისი
19. მოწყვეს ავტომატიზებული სისტემა | გივი ზალდასტანიშვილი ამერიკული აკადემია | თბილისი
20. ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატის მიღება მცენარეების გამოყენებით | ქართულ-ფრანგული სკოლა ლიციუმი | სოფელი პატარძელი
21. ტემპერატურის არამკაფიო მიკრორეგულატორი | 147-ე, 157-ე, 174-ე, 186-ე საჯარო სკოლები, სკოლა IB მთიები | თბილისი
22. Carქესი | ევროპული სკოლა | თბილისი
23. კედლის ხორკლიანობის გავლენის შესწავლა ექსპერიმენტების საშუალებით | მე-3 საჯარო სკოლა | ბორჯომი
24. უცემენტო ბეტონი | ევროპული სკოლა | თელავი
25. რობოტმანქანა სმარტფონ/პლანშეტით დისტანციური მართვით | 174-ე, 157-ე, 147-ე და 35-ე საჯარო სკოლები | თბილისი
26. მოძრაობის სკანერი | 199-ე საჯარო სკოლა | თბილისი
27. ბარნის სმარტ ლაბირინთი | აია-ჯესს, პროგრესი | თბილისი, ქუთაისი
28. Cyber Guide | 42-ე საჯარო სკოლა | თბილისი
29. კიბერეთიკური რობოტი | ევროპული სკოლა | თბილისი
30. უსინათლო ხედვა | 199-ე საჯარო სკოლა, ოაზისი, არქიმედეს სკოლა | თბილისი